პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
10 აპრილი
№ 83 (17428)
ფასი 2 კაპ.

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

# რიტმი — მწყობრი, ხარისხი — საუკეთესო

## პირველი კვარტალი: შედეგები, ამოცანები

დღითი დღე ძალას იკრებს მეორე კვარტალი. ახლა სწორედ ის დროა, როცა თითოეული საწარმოო კოლექტივი აჯამებს სამეურნეო წლის პირველი სამი თვის მუშაობის შედეგებს, მიღწეულ მიჯნას; რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ მაჩვენებლებს სახელმწიფო გეგმასა და სოციალისტურ ვალდებულებებს უპირისპირებს.

საქართველოს ინდუსტრიის მუშაკთა 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებები, სხვათა შორის, მთლიანი პროდუქციის გამოშვების ოთხი წლის გეგმის შესრულებას 10 დეკემბრისათვის ითვალისწინებს; სამრეწველო წარმოების მოცულობა წლეულს უნდა გაიზარდოს 7,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 5,6 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე უნდა მივიღოთ წარმოების მატების სულ ცოტა 82 პროცენტი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რაოდენობრივ ზრდასთან ერთად სოციალისტური ვალდებულებებით ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონის 15 პროცენტამდე გაზრდაა ნავარაუდევი, ცხადი გახდება ინდუსტრიის მუშაკთა მიერ დასახული ამოცანების მასშტაბები...

სოციალისტური ვალდებულებების აღებიდან მის პრაქტიკულ განხორციელებამდე გრძელი და რთული გზაა გასავლელი. როგორია პირველი კვარტალის შედეგები, რამდენად მიესადაგება მიღწეული საერთო წლიურ დავალებებს, ვინ მიჰყვება და ვინ არღვევს ჩვენი სამეურნეო ცხოვრების რიტმს?

პირველი კვარტალის მონაცემებით, გეგმის გადამეტებით წარმოებულია 16,1 მილიონი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 11,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საშუალო-რესპუბლიკურთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით გაზარდეს პროდუქციის წარმოება კვების, მსუბუქი, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებიდან კი ამ თვალსაზრისით უნდა გამოვარჩიოთ „ელექტროხელსაწყო“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“ „ანალიზხელსაწყო“, „საქნავთი“, თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა და სხვ. საერთოდ, იანვარ-თებერვალთან შედარებით რამდენადმე იმატა წარმოების, რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა.

თვალსაჩინოა წარმატებები საკუთრივ პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში. 1 მარტისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშანი ჰქონდა რესპუბლიკის 1682 ნაწარმს, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონა კი 18,1 პროცენტს შეადგენდა.

მაგრამ მიღწეული თვითკმაყოფილების, თვითდამშვიდების საბაბს როდი იძლევა. ჯერ ერთი, საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ურიტმოდ, არათანაბარზომიერად მუშაობს, რის გამოც სოციალისტური ვალდებულებების უმნიშვნელოვანესი პუნქტების შესრულებას უკვე პირველ კვარტალში ბევრი რამ დააკლდა; მეორეც, სამეურნეო პრაქტიკამ მრავალგზის დაგვანახვა, რომ არ შეიძლება სიმძიმის ცენტრის გადატანა წლის ბოლო თვეებზე. არადა, წლის პირველ თვეებში უხეირო მუშაობის გამო ისედაც დაძაბული საწარმოო პროგრამა წლის ბოლოს კიდევ უფრო „დამძიმდება“, და შესაძლოა ზოგან სათუოც კი გახდეს არათუ ვალდებულებების, არამედ თვით სახელმწიფო გეგმის შესრულებაც.

მართალია, იანვარ-თებერვალთან შედარებით შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულეს, მაგრამ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მათი რიცხვი გაიზარდა. პირველ კვარტალში წარმოების გეგმა ვერ შეასრულა 33-მა, ხოლო რეალიზაციისა — 32 საწარმომ. ყველაზე მეტი (10) ჩამორჩენილი საწარმოა ხაშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში. ამდენივე ჩამორჩენილია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს შორის.

შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში ჩამორჩენილთა რიცხვით და მათ მიერ მიყენებული ზარალიც 5-ჯერ გაიზარდა.

რესპუბლიკის მრეწველობის დაჩქარებული განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შესრულება იმის გამოც ფერხდება, რომ შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით წარმოების დონე შეამცირა 195 საწარმომ (საწარმოთა 22,6 პროცენტი).

ამ საწარმოებმა 55 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია გამოუშვეს, ვიდრე შარშან. მათ რომ წარმოების შარშანდელი დონე შეენარჩუნებინათ, წარმოების მატება 6,5 პროცენტს კი არა, 10 პროცენტს მიაღწევდა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ 195 საწარმოდან 183-ში წარმოების დონის შემცირება გეგმით არის გათვალისწინებული.

კვლავინდებურად გრძელდება გეგმების შემცირების მრავალგზის დაგმობილი პრაქტიკა. პირველ კვარტალში წარმოების თავდაპირველი გეგმა 55 საწარმომ 21 მილიონი მანეთით შეამცირა (შარშან პირველ კვარტალში შესაბამისად 27 საწარმომ 4,6 მილიონი მანეთით შეამცირა წარმოების გეგმა).

გეგმის დაუსაბუთებელი კორექტირება შეუთავსებელია იმ ამოცანებთან, რომლებსაც ჩვენი სახალხო მეურნეობა, კერძოდ კი რესპუბლიკის მრეწველობა ისახავს მეათე ხუთწლედში, დროა, განხორციელდეს ისეთი ქმედითი ღონისძიება, რომელიც ზოგიერთ ვაი-ხელმძღვანელს საბოლოოდ დაუკარგავს სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანების გაიოლების, შემსუბუქების ხალისს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საგანგებო ყურადღება დაეთმო სამეურნეო ხელშეკრულებათა შესაბამისად პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულებას. იმ საწარმოებიდან, რომელთა მუშაობის შედეგები ამ მაჩვენებლით ფასდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები პირველ კვარტალში დაარღვია 144 საწარმომ (საწარმოთა 19,3 პროცენტი).

ახლა შრომის ნაყოფიერების შესახებ. პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერება 5,2 პროცენტით გაიზარდა, მის ხარჯზე მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი ნამატის 81,5 პროცენტი. მიღწევები ამ სფეროში გაცილებით მეტი იქნებოდა, შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით 200 საწარმოს (საწარმოთა 23,2 პროცენტს) რომ არ შეემცირებინა შრომის ნაყოფიერების დონე.

საოცარია, მაგრამ ზოგან სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ზრდის პარალელურად წარმოების მოცულობა მცირდება კიდეც. შრომითი რესურსების არაეფექტიან გამოყენებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირველ კვარტალში სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვი 2 ათასი კაცით აღემატებოდა საგეგმოს. ეს რომ არა, შრომის ნაყოფიერება 0,4 პუნქტით გაიზრდებოდა და 5,6 პროცენტს მიაღწევდა (ზუსტად იმდენს, რამდენსაც სოციალისტური ვალდებულება ითვალისწინებს!).

წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება დროებითი კამპანია როდია. იგი ყველგან და ყოველთვის ჩვენი მუშაობის ნორმა და უპირველესი ორიენტირი უნდა იყოს.

აპრილის დამლევს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავი.

ჩვენი გეგმები, ხუთწლიანი თუ წლიური, კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია. გეგმა კანონია, სოციალისტური სახალხო მეურნეობის ნორმალური განვითარების საფუძველთა საფუძველია!

პირველ ხუთწლედის საიუბილეო წელს განსაკუთრებით გვმართებს ყველგან განვამტკიცოთ საგეგმო დისციპლინა, ყველგან ვიზრუნოთ არა მარტო საგეგმო დავალებათა უთუო შესრულებისათვის (ეს, რა თქმა უნდა, მთავარი მოთხოვნაა), არამედ დაძაბულ, ამასთან რეალურ, მეცნიერულად დასაბუთებულ საგეგმო დავალებათა რეალიზაციისთვისაც. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახლა არა გვაქვს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე მთელი ჩვენი შესაძლებლობებისა და დოვლათის ყაირათიანი, უაღრესად რაციონალური გამოყენება“. რესპუბლიკის ინდუსტრიის მოწინავეების, ალამდარების მიღწევები მოწმობს, რომ დაძაბული გეგმაც შეიძლება წარმატებით შესრულდეს, თუ საქმეს მიუდგები სახელმწიფოებრივი პოზიციიდან, თუ შიდასაწარმოო რეზერვს დროულად ჩართავ ხუთწლედის სამსახურში.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ კვარტალში ყველამ როდი აიღო კარგი სტარტი. იმ საწარმოებმა, რომლებმაც დაუშვეს ჩამორჩენა, ამოვარდნენ საწარმოო რიტმიდან და ვალში არიან სახელმწიფოს წინაშე, უმოკლეს ვადაში უნდა შეძლონ დაკარგულის ანაზღაურება, მიაღწიონ მწყობრ რიტმს, რათა საფრთხე არ შეუქმნან წლიური გეგმების შესრულებას.

# სალაშქროდ, ტურისტებო!

ПРАВДА
8 აპრილის მოწინავე

ადგა გაზაფხული, და ჩვენი ქვეყნის სივრცეებს ტურისტები მოედინენ. უქმე დღეებში და შვებულების დროს მშობლიურ მხარეში მოგზაურობა მარტო დასვენება როდია. ყოველი საბჭოთა ადამიანი, რომელიც ზურგჩანთამოკიდებული ქვეითად გაუდგება გზას ან ტრანსპორტში ჩაჯდება შორეული მარშრუტით სამოგზაუროთ, ცდილობს გაიფართოოს გონებრივი ჰორიზონტი. სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მოწმენი, ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილები, ბუნების თვალწარმტაცი კუთხეები ყოველთვის იზიდავს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს.

ტურიზმი, რომელიც პარტიას მშრომელთა აქტიური დასვენებისა და კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნია, მასობრივი გახდა. შარშან ადგილობრივი და საკავშირო ტურისტული მარშრუტებით იმოგზაურა 28 მილიონზე მეტმა კაცმა. ექსკურსიებზე იყო 160 მილიონი კაცი. მოგზაურებს მასპინძლობდა 950 სპეციალიზებული სასტუმრო, ბაზა და კემპინგი, რომელთა ქსელი უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა. უფრო მრავალფეროვანი გახდა ტურიზმის ფორმები. ეს არის მოგზაურობა ქვეითად და ცხენით, მარხილებით ან მოტონარტებით, ნავებითა და ტივებით. გაფართოვდა შვილებთან ერთად მშობლების დასვენების შესაძლებლობანი, აქტიურად ვითარდება ავტოტურიზმი. ათი ათასს მიაღწია ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოების მიერ შექმნილი სხვადასხვა მარშრუტის რიცხვმა.

ტურისტები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ გაუმჯობესდა მომსახურება ბევრ ბაზაში, უფრო შინაარსიანი გახდა ლაშქრობებისა და ექსკურსიების თემატიკა. ამას მოწმობს იმათი გამოხმაურებანი, ვინც უკანასკნელ ხანს შვებულება უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, მოლდავეთში გაატარა, ეწვია სტავროპოლისა და ხაბაროვსკის მხარეებს, ვლადიმირის, გორკისა და მთელ რიგ სხვა ოლქებს. ადგილობრივი ტურიზმის და ექსკურსიების საბჭოები ზრუნავენ, რათა სტუმრები მოხერხებულად დაბინავდნენ, გემრიელად და დროულად საზრდოობდნენ, რათა ისინი კმაყოფილი დარჩნენ ტრანსპორტის მუშაობით, გიდების კვალიფიკაციით, საინტერესოდ და მხიარულად გაატარონ დრო. გასული წლების მუშაობის შედეგებით ამ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საბჭოები სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის დაასახელეს.

მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება ტურისტულ ორგანიზაციათა მთავარ ამოცანად რჩება. წელს მათ დიდი გეგმები აქვთ — უნდა მოემსახურონ მილიონით მეტ ტურისტსა და ხუთი მილიონით მეტ ექსკურსანტს, ვიდრე გასულ სეზონში. ეს განსაკუთრებულ მწყობრ მუშაობასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. ნოვოსიბირსკის, მარითის, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ტურიზმისა და ექსკურსიების მთელი რიგი სხვა საბჭოები კი ჯეროვნად არ ზრუნავენ ბაზების რაციონალური გამოყენებისათვის, მათი კეთილმოწყობისათვის, სტუმრების კულტურული მომსახურებისათვის, ყოველივე ეს მშრომელთა საყვედურებს იწვევს.

ზოგჯერ ტურისტულ ბაზებში უამრავი ადგილია, მატარებლები, თბომავლები და ავტობუსები ნახევრად ცარიელი გადიან რეისებში, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ რიგიანად ვერ ავრცელებენ საგზურებს. ბევრგან შექმნილია რეალიზაციის ბიუროები, რომლებმაც გაამართლეს დანიშნულება, მაგრამ ეს კარგი გამოცდილება ნელა ვრცელდება. თურქმენეთიდან, დაღესტნიდან, ალტაის მხარიდან „პრავდა“ იღებს სიგნალებს, რომ ტურისტულ ბაზებში ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებია, მოგზაურობათა პროგრამა ირღვევა, მოუფიქრებლად იგეგმება მარშრუტები. საკავშირო პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურმა საბჭომ უფრო გულმოდგინე კონტროლი უნდა გაუწიოს საქვეუწყებო დაწესებულებების მუშაობას, დროულად დაეხმაროს მათ.

ზაფხულის — გახურებული ტურისტული სეზონის წინ ზედმეტი არ იქნებოდა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებსაც შეემოწმებინათ, თუ როგორ ასრულებენ გეგმებს ადგილობრივი ტურისტული ორგანიზაციები, გამოეძებნათ სტუმართა მომსახურების გაუმჯობესების შესაძლებლობანი. ძალზე გამოგვადგებოდა სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა მუშაობის მეთოდების შესწავლა და დანერგვა. მაგალითად, კარგი გამოხმაურებანი მოდის ლენინგრადის მახლობლად მდებარე ტურისტულ სასტუმრო „რეპინსკაიადან“. იგი გამოირჩევა კარგი საყოფაცხოვრებო პირობებით, აქ სტუმრების მიღების გააზრებული, საინტერესო პროგრამა აქვთ. მაგრამ როგორ ახერხებენ მისი მუშაკები ასეთი მაღალი მაჩვენებლების მიღწევას — ეს არ იცის ყველა ბაზის კოლექტივმა.

ტურისტულ-საექსკურსიო დაწესებულებებს გამოცდილი კადრები ჰყავთ. შარშან 300 ათასზე მეტმა კაცმა ისწავლა კურსებსა და სემინარებზე. მიუხედავად ამისა დამსვენებლებთან მუშაობას ზოგჯერ მოუმზადებელ ადამიანებს ანდობენ. ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა უფრო კარგად უნდა გაუწიონ კონტროლი ამ დაწესებულებათა კადრების შერჩევასა და განაწილებას, უფრო აქტიურად ადევნონ თვალი საექსკურსიო მუშაობის იდეურ დონეს.

სკკპ XXV ყრილობამ, რომელმაც დასახა ტურიზმისა და საექსკურსიო მომსახურების განვითარების ამოცანა, აღნიშნა, რომ საჭიროა გაგრძელდეს ტურისტული კომპლექსებისა და ბაზების, მოტოტელებისა და კემპინგების მშენებლობა. წელს მათი ქსელი 19 ათასი ადგილით უნდა გაიზარდოს, ეს დაძაბული პროგრამაა. მაგრამ მშენებლები არღვევენ ზოგიერთი ობიექტის ამოქმედების გრაფიკს. მაგალითად, ათ წელზე მეტია სასტუმროებს აშენებენ კრასნოდარსა და სტავროპოლში სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციები. დღემდე ვერ ჩაუბარებიათ კალინინის ოლქის ტურბაზა „ვერხნევოლჟსკაია“, რომელიც მოიჯარეს — სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ორი წლის წინათ უნდა დაემთავრებინა. ნელა, დაბალხარისხოვნად აშენებენ ტურისტულ ობიექტებს საქართველოში. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უფრო მკაცრად უნდა მოჰკითხონ იმათ, ვინც სიტყვას ტეხს.

ტურისტებს საფუძვლიანი პრეტენზიები აქვთ გზათა სამინისტროსადმი, რომელიც ხშირად აუქმებს დამსვენებელთა მატარებლების დაგეგმილ რეისებს. პირველ კვარტალში რეისში არ გასულა 183 ტურისტული მატარებელი, რის გამოც ვერ იმოგზაურა 70 ათასზე მეტმა კაცმა. ცუდად არის მოწყობილი ტურისტული მატარებლების სადგომების პუნქტები მთელ რიგ დიდ ქალაქებში. მაგალითად, ვოლგოგრადში. მეათე ხუთწლედში უნდა აშენდეს 63 ასეთი პუნქტი, მაგრამ მათი საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები ირღვევა. როგორ აღმოვფხვრათ ჩამორჩენა მშენებლობაში, როგორ გამოვიყენოთ უკეთ ვაგონების პარკი? ასეთ ამოცანებს უსახავს რკინიგზელებს ახალი ტურისტული სეზონი.

სამშობლოს სივრცეები მილიონობით ადამიანს სამოგზაუროდ უხმობს. დაე ნურც ერთ მარშრუტზე და ბაზაში ნუ მოაკლდებათ მათ ზრუნვა და ყურადღება, რათა თითოეულმა ტურისტმა კარგად დაისვენოს, კარგი შთაბეჭდილებანი მიიღოს, გაიფართოოს ცოდნა!

# ხუთწლედის ფონდში

## ვინ როგორ ემზადება ლენინური შაბათობისათვის

**თბილისი: ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკა — 2.300**

შაბათობის დღეს მეტრიკოტაჟეთა კოლექტივის 988 მუშა-მოსამსახურე 90 ათასი მანეთის პროდუქციას დაამზადებს. მათ შორის 33 ათასი მანეთისას დაზოგილი ნედლეულის ხარჯზე. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 2300 მანეთი. წინასწარი გაანგარიშებით დღიურ გეგმას 106 პროცენტით შეასრულებენ.

ამ დღეს გამოშვებული მთელი პროდუქციის 80 პროცენტი ბავშვებისათვის იქნება განკუთვნილი. („კომ.“ კორ.).

**სოხუმი: ქარხანა სოხუმხელსაწყო — 4.000**

შრომის უმაღლესი ნაყოფიერების დღედ გამოაცხადა „წითელი შაბათობა“ ამ საწარმოს კოლექტივმა. 21 აპრილს სამუშაოზე გამოვა ქარხნის ყველა მუშა-მოსამსახურე, რომელთა უმეტესობაც პროდუქციის შექმნაში მიიღებს მონაწილეობას, დანარჩენები კეთილმოაწყობენ საწარმოს ტერიტორიას, სულ დამზადებული იქნება რამდენიმე ათასი მანეთის ნაწარმი, ხუთწლედის ფონდში კი 4000 მანეთს გადარიცხავენ.

ი. გოგეჩია,
საკ. კორ.

**ქუთაისი: ელექტრომექანიკური ქარხანა — 1.800**

21 აპრილს საწარმოში 1050 კაცი გამოვა. გამოშვებული იქნება 35 ათასი მანეთის პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში 1800 მანეთი გადაირიცხება. შეგროვდება ჯართი, კეთილმოეწყობა ქარხნისა და მისი მისადგომების ტერიტორია.

დ. გედენიძე,
საკ. კორ.

**საჩხერე: სამრეწველო კომბინატი — 350**

ამ დღეს კომბინატის სამკერვალო, საავეჯო, ბლოკებისა და თუნუქის ღუმელის საამქროების მუშა-მოსამსახურენი გამოუშვებენ 6.000 მანეთის სამრეწველო პროდუქციას და ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 350 მანეთს.

ა. კაპანაძე,
მუშკორი.

**მახარაძე: ჩაის ფაბრიკის საწარმოო გაერთიანება — 5.200**

ლენინური შაბათობის შრომით ზეიმში ჩაის საწარმოების 1700-მდე კაცი მიიღებს მონაწილეობას. ეს დღე მათ შრომის დამკვრელურ დღედ გამოაცხადეს, სადაც ყველა მუშა-მოსამსახურე მაღალნაყოფიერად იშრომებს, შესრულდება ფაბრიკის ახალი სეზონისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. გამომუშავებული თანხიდან ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება 5.200 მანეთი.

გ. ჩხაიძე,
საკ. კორ.

ხუთწლედების სიქადი



საგამოფენო დარბაზებში

# გმირული შრომის მატიანე





**ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.**

ექსპოზიციის ცენტრშია დიდი ლენინის პორტრეტი და მისი სახელმძღვანელო დებულება გეგმიანი მუშაობის შესახებ: არ შეიძლება მუშაობა, თუ არა გვაქვს ხანგრძლივი პერიოდისა და სერიოზული წარმატებისათვის გათვალისწინებული გეგმები.

გამოფენაზე წარმოდგენილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავის შესახებ“ რუსულ და ქართულ ენებზე.

ორმოცდაათი წლის წინათ (1929 წლის 23-29 აპრილს) გამართული, საკ. კპ(ბ) XVI კონფერენციის მასალები ეხება ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღებას, სსრ კავშირის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას.

გამოფენაზე მოყვანილია ტექსტი XVI კონფერენციის მიმართვისა „საბჭოთა კავშირის ყველა მუშისა და მშრომელი გლეხობისადმი“ — გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, როგორც მასობრივი მოძრაობა პირველი ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის. ექსპონატები გვიჩვენებს, თუ როგორ იწყებოდა სოციალიზმის შეტევა მთელ ფრონტზე.

თვალსაჩინო ადგილას გამოფენილია კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი — საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობის რეზოლუცია (1929 წლის ივნისი) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ფოტოდოკუმენტები და ილუსტრაციები მოგვითხრობს ხუთწლედის მშენებლობის პირმშოების — დნეპრჰესის, პირველი სატრაქტორო ქარხნების, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობებზე.

1931 წლის 25 აგვისტოს ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ გამოუშვა პირველი საცდელი თვლიანი ტრაქტორი. გამოფენაზე წარმოდგენილია ამ მანქანის მაკეტი. აქვეა ხუთწლედების შრომითი ფრონტის გმირთა მთელი გალერეა. სტენდზეა სტახანოვის, ბუსიგინის, დემჩენკოს, კრივონოსის, ანგელინას, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების — ვ. სამხარაძის, დ. ჰეჟინაძის, გ. ფოფხაძის, კ. ჩოხელის, თ. ყუფუნიას და სხვათა პორტრეტები. მათ გვერდით მეათე ხუთწლედის მოწინავეთა პორტრეტებია. სტენდზე ექსპონირებულია რეპროდუქცია მხატვარ პ. ვასილიევის სურათისა — ი. ბ. სტალინი სტახანოველთა შორის.

გამოფენაზე დიდი ადგილი ეთმობა ჩვენი დღევანდელობის ჰეროიკას. სტენდზეა ჩვენი ქვეყნის რუკა, რომელზეც აღნიშნულია მეათე ხუთწლედის მიჯნები — მეათე ხუთწლედის დიად მშენებლობათა (ცხრილები და ფოტოდოკუმენტები. ისინი გვაცნობენ იმ ეტაპს, როცა შეჯიბრება ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გახდა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფოტოპანორამა, რომელზეც საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლებს გადასცემენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას 1978 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

გამოფენილია ჩვენი ხუთწლედებისადმი მიძღვნილი პოლიტიკური ლიტერატურა.

ექსპოზიციას აგვირგვინებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „ჩვენი ხუთწლედები — ეს არის ეკონომიკის ენაზე გადაყვანილი ხალხთა ლენინური მეგობრობა“.

ამ დღეებში ხალხმრავლობაა მუზეუმში. აქ, გამოფენაზე, ახალგაზრდები ხვდებიან ომამდელი ხუთწლედების გმირებს.

ვლ. გინზბურგი.

სურათებზე: ქვემოთ — გამოფენის ექსპოზიცია; ზემოთ — გამოფენის ექსპონატები: ა. სტახანოვი (მარჯვნიდან მეორე) ქართველ მეშახტეთა შორის; ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის საცდელი თვლიანი ტრაქტორი (მაკეტი).




# მეცხვარეობა — სამრეწველო საფუძველზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით ამიერკავკასიაში მეცხვარეობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები განიხილეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც თბილისში გაიმართა. იგი მოაწყვეს საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებამ და საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მეცხვარეობის დარგის მეცნიერები და სპეციალისტები.

კონფერენცია გახსნა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების გამგემ აკადემიკოსმა ი. ხოხლოვმა.

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ა. კოზმანიშვილმა, სომხეთის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის კათედრის გამგემ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. რუხკიანმა, აზერბაიჯანის ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. გაჯიევმა და სხვებმა.

მეცხოველეობის განვითარება, აღინიშნა კონფერენციაზე, პარტიის მთელი აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა დასახა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. ამიერკავკასიაში არის კეთილნაყოფიერი პირობები მეცხვარეობის განვითარებისათვის.

სამრეწველო საფუძველზე დარგის გადაყვანისათვის რესპუბლიკებში გარკვეული მუშაობა შესრულდა. მაგალითად, სომხეთში ეწყობა მსხვილი სპეციალიზებული ფერმები. იქმნება ნახევრად ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვრის, სახორცე-სამატყლე-სარძეო მიმართულების ფარები, აზერბაიჯანში მოქმედებს მსხვილი მეყარაყულეობის კომპლექსი, რომელშიც 5 ათასი ცხვარია.

იმის მიუხედავად, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ბუნებრივი საკვები სავარგულების დიდი მარაგია, აქ მოგვარებული არ არის მათი ინტენსიური გამოყენება, დაბალია მექანიზაციის დონე დარგში, სუსტად წარმოებს ცხოველების მოვლა, ჯიშთსანაშენე მუშაობა. საქართველოში, მაგალითად, მეცხვარეობის განვითარების მაჩვენებლები ჯერ კიდევ ჩამორჩება საერთო-საკავშირო დონეს.

კონფერენციაზე მიიღეს რეკომენდაციები, რომელთა მიზანია მეცხვარეობის შემდგომი განვითარება ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, სამრეწველო საფუძველზე მისი გადაყვანა.

(საქინფორმი).

„სალუტ-6“ — „სოიუზ-32“:

# კვლევა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 9 აპრილი. (საკდესი). გრძელდება კოსმონავტების ვლადიმერ ლიახოვისა და ვალერი რიუმინის ორბიტული ფრენა.

დღევანდელი დღის მეტი ნაწილი ეთმობა ეკიპაჟის სამედიცინო გამოკვლევას. გამოღვიძებისთანავე იკვლევდნენ სრული სიმშვიდის პირობებში სისხლის მიმოქცევის დინამიკას. განხორციელდა აგრეთვე გულის ბიოელექტროაქტიურობის, გარე სუნთქვისა და სისხლძარღვთა ტონუსის პარამეტრების გამოკვლევა.

კვლევის დროს კლინიკური კონტროლი ხორციელდებოდა „პოლინომ-2მ“ მრავალფუნქციური აპარატურის მეშვეობით.

დღის განმავლობაში კოსმონავტები ფიზიკურად ვარჯიშობენ ტრენაჟერსა და ველოერგომეტრზე, კონტროლს უწევენ სამეცნიერო აპარატურის მუშაობას.

დღეს საღამოს დაგეგმილია ორბიტულ კომპლექსში კავშირის ორი სეანსი სატელევიზიო გამოსვლების გადაცემისათვის.

7 და 8 აპრილს სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად, „კრისტალის“ დანადგარზე შესრულდა კოსმოსური მასალათმცოდნეობის კიდევ ორი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი. კოსმონავტებმა უკვე მოაწყვეს ხუთი ამგვარი ექსპერიმენტი, რომელთა მიზანია მიკროგრავიტაციის პირობებში სხვადასხვა მასალის ფორმაწარმოქმნის შესწავლა, აგრეთვე ნახევარგამტარების, ლითონის შენაერთებისა და მაგნიტური მასალების მიღება.

ეკიპაჟის მოხსენებებითა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „სალუტ-6“ — „სოიუზ-32“ კოსმოსური კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ. სამეცნიერო კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამა დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე წარმატებით სრულდება.

# მაჰაჯირობა და აფხაზეთის ისტორიის პრობლემები

## პროფესორ გ. ძიძარიას მონოგრაფიის გამო

**აფხაზი** ხალხის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მომენტი იყო მაჰაჯირობა — აფხაზთა იძულებით გასახლება თურქეთში. სამწუხაროდ, აფხაზი ხალხის ეს ტრაგიკული წარსული ათეული წლების მანძილზე ვერ იქნა და ვერ გახდა საფუძვლიანი მეცნიერული კვლევის ობიექტი. მხოლოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ მიაპყრო მას სერიოზული ყურადღება. ამ ისტორიოგრაფიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ძიძარიამ ხელი მოჰკიდა ამ ფრიად რთული მოვლენის მეცნიერულ შესწავლას. მკვლევარმა ხანგრძლივი და დაძაბული შრომით, დიდი რუდუნებით შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევა — **„მაჰაჯირობა და XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის პრობლემები"**, რომელიც პროფესორ ზურაბ ანჩაბაძის რედაქტორობით გამოაქვეყნა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ალაშარამ" 1975 წელს რუსულ ენაზე.

პროფესორ გ. ძიძარიას ამ წიგნმა გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველთა და სამეცნიერო წრეების ყურადღება, რაც სათანადოდ აისახა იმ დადებით რეცენზიებში, რომლებიც საოლქო, რესპუბლიკურსა და საკავშირო პრესის ფურცლებზე დაისტამბა.

პროფესორ გ. ძიძარიას მონოგრაფიის ასეთი რეზონანსი სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ისტორიის მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე და უწინარეს ყოვლისა განპირობებულია არა მარტო საკვლევი პრობლემის აქტუალობით, არა მარტო მისი შესწავლის სიძნელითა და სირთულით, არამედ, რაც მთავარია, კვლევის შედეგებით.

როგორც ცნობილია, მაჰაჯირობა შეინიშნება ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ კავკასიის მთიელთა პირველ მასობრივ მაჰაჯირობას ვხვდებით 1859-1865 წლებში.

აფხაზი ხალხის ისტორიის ეს ტრაგიკული მომენტი, რომელსაც დიდი აფხაზი მწერალი და მოაზროვნე დიმიტრი გულია სამართლიანად უწოდებდა „ყველაზე მტკივნეულ ადგილს აფხაზი ხალხის ისტორიაში", პირველად პროფესორ გ. ძიძარიას მონოგრაფიაში პოულობს მეცნიერულ. მარქსისტულ-ლენინურ გაშუქებას. მასში აფხაზური მაჰაჯირობა განხილულია როგორც კავკასიის ხალხთა საერთო სავადასახლებო მოძრაობის ნაწილი, ხოლო მთლიანად მაჰაჯირობის პრობლემა აღმოსავლეთში ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკასთან კავშირით. კვლევის ასეთი გზით მეცნიერმა საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ მაჰაჯირობას არ ჰქონდა მიზეზობრივი კავშირი მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შინაგან პროცესებთან, და იგი ხალხისათვის თავიდან ბოლომდე უცხო იყო.

გ. ძიძარია, თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში ღრმად, მეცნიერულად აშუქებს აფხაზეთის სამთავროს ისტორიულ ვითარებას XIX საუკუნის პირველ ნახევარში. კერძოდ, ავტორი საფუძვლიანად წარმოაჩენს მხარის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ცარიზმის მხრივ სამხედრო მოქმედების აქტივიზაციას, რასაც ბუნებრივად თან სდევდა მოსახლეობაში ანტიკოლონიური, განმათავისუფლებელი მოძრაობის მზარდი განვითარება, თურქეთის მმართველი წრეების რევანშისტული პოლიტიკის გაცხოველება. იგი მიზნად ისახავდა კავკასიის ჩამოშორებას რუსეთისაგან, უკიდურეს შემთხვევაში, კავკასიელი მაჰაჯირებით საკუთარი უკაცრიელი ადგილების ათვისებას, კერძოდ, რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე მათ ჩასახლებას. გარდა ამისა, პროფესორი გ. ძიძარია მთელი სიღრმე-სიგანით წარმოაჩენს კავკასიის ომის შედეგებს, ცარიზმის რეაქციულ ეროვნულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, მისი საგარეო პოლიტიკის აგრესიულ ხასიათს. გ. ძიძარიას უდავო დამსახურებაა აღმოსავლეთის საკითხთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემის ახლებური, ორიგინალური გადაწყვეტა.

გ. ძიძარიას ნაშრომში, სათანადო საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ცხადად და ნათლად არის ნაჩვენები ის მოტივები, რომლებიც საფუძვლად ედო სხვადასხვა სახელმწიფოს და სოციალური ჯგუფის ინტერესებს საერთოდ მაჰაჯირობის, კერძოდ აფხაზური მაჰაჯირობის მიმართ. ევროპის სახელმწიფოებს, უწინარეს ყოვლისა, ინგლისსა და საფრანგეთს აინტერესებდათ აღმოსავლეთში ბოლო მოღებოდა რუსეთის ძლიერებას, ხელში ჩაეგდოთ რუსეთის საკოლონიზაციო ადგილები კავკასიაში აღმოსავლეთისაკენ საკუთარი მისწრაფებისათვის მყარი პლაცდარმის უზრუნველსაყოფად, თურქეთს, ადამიანთა რესურსები აინტერესებდა საკუთარი უკაცრიელი სასაზღვრო ადგილების ასათვისებლად და რუსეთისათვის სერიოზულ დაბრკოლებათა შესაქმნელად, ხოლო აფხაზეთის რეაქციონერი ფეოდალები ცდილობდნენ თავი დაეღწიათ მოსალოდნელი საგლეხო რეფორმისათვის...

გ. ძიძარიას, რომელიც აშუქებს მაჰაჯირთა მოძრაობას, მხედველობაში აქვს მოსახლეობის არა მარტო იძულებითი გადასახლება თურქეთში, არამედ მათი ლტოლვა უკან, სამშობლოში დაბრუნებისთვისაც. ამასთან დაკავშირებით სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ავტორი აღწერს მაჰაჯირთა შემაძრწუნებელ მდგომარეობას თურქეთში. ავტორის დიდ დამსახურებად მიგვაჩნია მაჰაჯირობისა და მაჰაჯირული მოძრაობისადმი ქართველი, რუსი და მთელი ქვეყნის პროგრესული ადამიანების დამოკიდებულების ჩვენება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ნაშრომს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს იდეა კავკასიის, კერძოდ, აფხაზეთის რუსეთთან შეერთების ისტორიულად ობიექტური პროგრესული მნიშვნელობის შესახებ.

შეიძლება შევაჯამოთ: პროფესორ გ. ძიძარიას მონოგრაფია მრავალასპექტიანი გამოკვლევაა, მასში ძირითად საკვლევ პრობლემასთან ერთად დასახული და გადაჭრილია არაერთი აქტუალური საკითხი. ყურადღებას იპყრობს ავტორისეული გაშუქება პრობლემისა: რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგობანი XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ამიერკავკასიაში, აფხაზეთის რუსეთთან შეერთების ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზი ხალხის ბურჟუაზიულ ერონებად კონსოლიდაცია, ქართველი, აფხაზი და რუსი ხალხების ინტერნაციონალური თანამშრომლობისა და მეგობრობის განვითარება-განმტკიცება და ა. შ.

ამრიგად, პროფესორ გ. ძიძარიას მონოგრაფია მაღალმეცნიერულ დონეზეა შესრულებული და საბჭოთა ისტორიული მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი შენაძენია.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ავტორს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია, რასაც კმაყოფილებით შეხვდნენ სამეცნიერო წრეები და ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა.

**პროფესორები მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, ვ. მერკვილაძე.**

---

**საერთაშორისო ცხოვრება**

# დედამიწის ზურგზე

# ვერ გატეხენ მებრძოლთა ნებას

**მსოფლიო შეაძრწუნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტ მმართველთა ახალმა მხეცურმა დანაშაულმა. სამხრეთაფრიკელმა ჯალათებმა აშკარად უგულებელყვეს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი და დღეს სიკვდილით დასაჯეს ახალგაზრდა აფრიკელი პატრიოტი სოლომონ მაჰლანგუ, რომელიც იბრძოდა აპარტეიდის მხეცური სისტემის ლიკვიდაციისათვის.**

**ამ ბარბაროსული აქტით პრეტორიის რეჟიმმა კვლავ დაადასტურა თავისი რასისტული, რეპრესიული ხასიათი, მარტო ამა წლის დამდეგიდან ჯალათთა ხელით დაიღუპა 18 აფრიკელი, ხოლო 1978 წელს — 182 კაცი. ამჟამად სიკვდილმისჯილთა საკნებში იმყოფება 110-ზე მეტი კაცი.**

**ლუანდა.** ს. მაჰლანგუს სიკვდილით დასჯა ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა პანიკური შიშით არიან შეპყრობილი რასისტები მზარდი განმათავისუფლებელი ბრძოლის წინაშე, განუცხადა აქ საქდესის კორესპონდენტს სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის ეროვნული აღმასკომის წევრმა ტაბო მორემ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პატრიოტებს ეს დანაშაული მიაჩნიათ იმის ცდად, რომ დააშინონ აფრიკელი მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, გატეხონ რასისტებისა და მათი დასავლელი პარტნიორების მხრივ რასობრივი დისკრიმინაციისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების ბრძოლისადმი აფრიკელი ხალხის მისწრაფება. მაგრამ პრეტორიელ ჯალათთა ბოროტმოქმედება, ხაზგასმით აღნიშნა ტაბო მორემ, იწვევს არა მარტო აფრიკელთა აღშფოთებას, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს გადაწყვეტილებას იბრძოლონ საბოლოო გამარჯვებამდე.

**ნიუ-იორკი.** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიტიკურ პატიმართა სისტემატური წამება და ხოცვა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ აფრიკული ქვეყნების ჯგუფის განცხადებაში. მათი თხოვნით აქ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა ეროვნული განთავისუფლების მებრძოლთა წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებასთან დაკავშირებით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების განხილვისათვის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ს. მაჰლანგუს სიკვდილით დასჯის შემდეგ ასეთივე ბედი ელის ათობით სხვა პატრიოტს.

**ადის-აბება.** აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაცია გადაჭრით გმობს იმას, რომ პრეტორიის ხელისუფალნი თავხედურად არღვევენ ადამიანის უფლებებს, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განცხადებაში. ს. მაჰლანგუს სიკვდილით დასჯის მსგავსი დანაშაული, ხაზგასმულია აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განცხადებაში, მხოლოდ აახლოებენ აპარტეიდის რეჟიმის კრახს.

საჭიროა ბოლო მოეღოს პრეტორიის ფაშისტური რეჟიმის აღვირახსნილ დანაშაულს პატრიოტთა მიმართ, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და ელემენტარული მოქალაქეობრივი უფლებებისათვის, განუცხადა საქდესის კორესპონდენტს ეთიოპიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფელექე გედლე-გიორგისმა. მსოფლიოს მთელმა თავისუფლებისმოყვარე ძალებმა მტკიცედ უნდა იმოქმედონ, რათა საბოლოოდ მოუღონ ბოლო რასისტთა ძალაუფლებას.

**ანტანანარივუ.** რასისტთა მიერ ახალგაზრდა პატრიოტის სიკვდილით დასჯა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თავხედური აბუჩად აგდებაა, ნათქვამია მადაგასკარის სოლიდარობის კომიტეტის განცხადებაში. მან მკაცრად დაგმო დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც სამხრეთ აფრიკის ფაშისტური რეჟიმებისადმი წაყრუების პოლიტიკას ადგანან. (საქდესი, 8 აპრილი).

# არაბთა საიმედო მეგობარი

**ბეირუთი,** 8 აპრილი. (საქდესი). საბჭოთა კავშირი ჩვენი დიდი ხნის და საიმედო მეგობარია, რომელიც ყოველთვის ეხმარებოდა და მხარს უჭერდა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას, განაცხადა პალესტინის ვაფას საინფორმაციო სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოლიტიკური განყოფილების გამგემ ფარუკ კადუმიმ. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირთან მეგობრობის შემდგომი განმტკიცება იმპერიალიზმისა და რეგიონში ახალი სამხედრო ბლოკის შეკოწიწების ცდების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

# პეკინი დაძაბულობას ამწვავებს

**ვიენტიანი,** 8 აპრილი. (საქდესი). ლაოსის საზოგადოებრიობა გულისწყრომით გმობს პეკინის მმართველი წრეების პროვოკაციულ მოქმედებას ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

რეზოლუციებში მშრომელები იწონებენ ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. რეზოლუციებში ყურადღება ეთმობა ლაოსის საზღვარზე ჩინეთის ჯარების საშიშ თავმოყრას, პეკინის ხელისუფალთა ჯაშუშურ-ძირგამომთხრელ მოქმედებას ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთი პროვინციების ტერიტორიაზე, კონტრრევოლუციური ჯგუფებისა და ელემენტების შეიარაღებასა და ქვეყანაში შეგზავნას. პეკინი ცდილობს ანტიხალხურ საქმიანობაში ჩაითრიოს ეროვნული უმცირესობანი, კერძოდ, მეოს ტომები და ეთნიკური ჩინელები, ხუაციაოები, რომლებიც ლაოსში ცხოვრობენ.

# ლეიბორისტთა წინასაარჩევნო მანიფესტი

**ლონდონი,** 7 აპრილი. (საქდესი). დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. კალაგენმა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოადგინა ლეიბორისტული პარტიის მანიფესტი მომავალი 3 მაისის არჩევნების გამო. როგორც ვიცით, ეს არჩევნები დანიშნეს მას შემდეგ, რაც წარსულ კვირაში პარლამენტში გამოიტანეს მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი.

პრემიერ-მინისტრი შეეხო საერთაშორისო საკითხებს და განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის მეცადინეობა ლეიბორისტული მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება ხელისუფლების სათავეში მისი დაბრუნების შემთხვევაში.

პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტში ხაზგასმულია აგრეთვე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ლეიბორისტები მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სახელმწიფოთა თანამშრომლობას. მასში აღნიშნულია, რომ უნდა გაუმჯობესდეს ურთიერთობა სსრ კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ხელი შეუწყონ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკების წარმატებას, დადონ ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის მთლიანი და საყოველთაო აკრძალვის შესახებ. მანიფესტში ნათქვამია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი შეთანხმების დადებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე.

# ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

**ჰანოი,** 8 აპრილი. (საქდესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ 4 აპრილს ვიეტნამის მხარემ ჩინეთის მხარეს შესთავაზა 1979 წლის 10 აპრილს დაწყებულიყო ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკება ორი ქვეყნის ურთიერთობის პრობლემების მოწესრიგების შესახებ.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპასუხო ნოტაში ვიეტნამის მხარეს აცნობა, რომ ჩინეთის მთავრობის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ხან ნიანლუნის მეთაურობით ჰანოიში მოლაპარაკებისათვის 14 აპრილს ჩამოვა. ვიეტნამის მხარე, აღნიშნულია ნოტაში, მზად არის მიიღოს ჩინეთის დელეგაცია ამ დღეს.

**ფოტო ბრალს დებს**



# აგრესორის სახე

**ისრაელ-ეგვიპტის შეთანხმება, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის მიზნების მიღწევისათვის გამოიყენა, დიდ ზიანს აყენებს არაბი ხალხის ბრძოლის საქმეს. ისრაელის პოლიტიკის მიზანია დაპყრობილი არაბული ტერიტორიების შემომტკიცება. საზღვარი არა აქვს ისრაელ დამპყრობთა თვითნებობას ოკუპირებულ არაბულ მიწებზე. სამხედრო ხელისუფლები სასტიკად უსწორდებიან იმათ, ვინც ოდნავ წინააღმდეგობას მაინც გაუწევს ან ოკუპანტთა რეპრესიების მიმართ პროტესტს გამოთქვამს.**

**სურათზე: ისრაელ ჯარისკაცებს დაკითხვაზე მიჰყავთ არაბი ქალი.**

**იუპი-საქდესის ტელეფოტო.**

---

**„კომუნისტის" მიმოხილვა**

# გასულ კვირას

**რაც** დრო გადის, მით უფრო მკვეთრ და ორგანიზებულ ფორმებს იღებს არაბი ხალხის გულისწყრომა ისრაელ-ეგვიპტის სეპარატული ზავის გამო. მეორე მხრივ, მსოფლიოს სიონისტური წრეები და უპირველეს ყოვლისა მათი გავლენის ქვეშ მყოფი მასობრივი ინფორმაციის ორგანოები ცდილობენ ისე წარმოგვიდგინონ სურათი, თითქოს სეპარატული ზავი ბევრს არაფერს აძლევდეს ისრაელს, რომ ეგვიპტისათვის სინის ნახევარკუნძულის დაბრუნებით ისრაელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება და ა. შ.

ამ მხრივ საყურადღებოა გასულ კვირას იტალიურ ჟურნალ „მონდოში" გამოქვეყნებული წერილი. წერილის ავტორის მტკიცებით 11 წლის ოკუპაციის მანძილზე ისრაელმა 17 მილიარდი დოლარი დააბანდა სინის ნახევარკუნძულზე: 10 მილიარდი სამხედრო ნაგებობებზე, 5 მილიარდი ნავთობსარეწებზე და 2 მილიარდი გზების მშენებლობასა და ებრაულ დასახლებებზე. აქვე სინანულია გამოთქმული, რომ „ისრაელს ცოტა რამის წაღება თუ შეუძლია ნახევარკუნძულიდან", ეგვიპტე კი მიიღებს „უდიდეს ქონებას, მათ შორის 4 მძლავრ სამხედრო-საჰაერო ბაზას, დიდ სამხედრო საზღვაო-ბაზას შარმ-აშ-შეიხში, ნავთობის ჭაბურღილებს და ა. შ.". პროსიონისტურ ჟურნალს განსაკუთრებით ის აწუხებს, რომ ისრაელი სტრატეგიულ პლაცდარმს დაკარგავს; 1975 წლის შეთანხმებით, სუეცის არხის ზონიდან ჯარების ნაწილობრივი გაყვანის შემდეგ ისრაელმა თავისი არმია განალაგა ნახევარკუნძულის დანარჩენ 147 ათას კვადრატულ კილომეტრზე, ხოლო ახლა ისრაელი გენერლები იძულებული იქნებიან 33.280 კვ. კილომეტრით დაკმაყოფილდნენ ნეგევის უდაბნოში. თანაც აქ საჭირო იქნება 800 კმ გზატკეცილისა და 500 კმ წყალსადენის გაყვანა.

იბადება კითხვა: ნუთუ წერილის ავტორს თვალი მაინც არ მოუკრავს ვაშინგტონში ხელმოწერილი დოკუმენტებისათვის? იქ ხომ არაორაზროვნად არის აღნიშნული, რომ, ჯერ ერთი, ტექნიკური მოწყობილობისა და დანადგარების მეტი წილი ისრაელს თან მიაქვს და, მეორე ეგვიპტემ ფაქტიურად ხელი აიღო (უფრო სწორედ, ხელი აალებინეს) ნახევარკუნძულის რეალურ სუვერენიტეტზე.

რაც შეეხება ებრაელ დასახლებებს, გავიხსენოთ, როგორ მდგომარეობაში გადასცა ისრაელმა ეგვიპტეს ელ-კუნიეტრა. იგივე განმეორდება ამჯერადაც. რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა სწორედ სიონისტური წრეებისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ის ფაქტი, თუ ვინ დარჩა მოგებული და ვინ — წაგებული. უბრალოდ, სიონისტური პროპაგანდა სადათის მდგომარეობის შემსუბუქებას ცდილობს — მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობა და უპირველეს ყოვლისა არაბული სამყარო უნდა დაარწმუნოს, რომ ზავი ხელსაყრელია ეგვიპტისათვის, რომ ისრაელმა ბევრი რამ დათმო მშვიდობის ინტერესებისათვის".

ამგვარი დახმარება კი დღეს უკიდურესად ესაჭიროება სადათს, როდესაც ძალაში შევიდა ბაღდადის კონფერენციის გადაწყვეტილება და ყოველ დღე ახალ-ახალი არაბული ქვეყნები წყვეტენ ურთიერთობას ეგვიპტესთან.

**4 აპრილს** 30 წელი შეუსრულდა ისევ ვაშინგტონში გაფორმებულ ერთ ხელშეკრულებას, რომლითაც საფუძველი დაედო კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს და უძლიერეს აგრესიულ სამხედრო ბლოკს — ნატოს. მაშინდელმა ამერიკელმა პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა მას „მშვიდობისა და დემოკრატიის ფარი უწოდა", რომელსაც „უფრო ბედნიერი ცხოვრება" უნდა უზრუნველეყო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ხალხებისათვის. ბლოკის აგრესიული არსი მაშინვე ამხილა საბჭოთა კავშირმა სპეციალური მემორანდუმით და მას შემდეგ განვლილმა ოცდაათმა წელმა ნათელყო საბჭოთა შეფასების სისწორე. ნატომ კიდევ უფრო გაამძაფრა საერთაშორისო დაძაბულობა და „ცივი ომი", ხოლო მისი საქმიანობის პირდაპირი და ყველაზე ნეგატიური შედეგი გამალებული შეიარაღებაა: 1949 წლიდან 1978 წლის ჩათვლით ნატოს წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები 18,7 მილიარდი დოლარიდან 189 მილიარდამდე გაიზარდა. მთლიანად სამხედრო საჭიროებებზე კი ნატომ ასტრონომიული თანხა — 2,6 ტრილიონი დოლარი დახარჯა.

რაც შეეხება ტრუმენის დაპირებას „უფრო ბედნიერი ცხოვრების თაობაზე", დღეს ეს უტიფარ დაცინვად ჟღერს ნატოს წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ — ამას 17 მილიონი უმუშევარი დაადასტურებს. გამალებულმა შეიარაღებამ ინფლაციის მაღალი დონე და სავალუტო-ფინანსური კრიზისი ქრონიკულ მოვლენად აქცია ამ ქვეყნებისათვის. და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, მიუხედავად უკანასკნელი წლების პოზიტიური ძვრებისა, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ერის დაწყებისა, ბლოკის მესვეურები ოცდაათი წლის შემდეგაც იმავე კურსს იცავენ, რომელმაც ამდენი გასაჭირი და სიძნელეები მოუტანა მის წევრ სახელმწიფოებს. გასული წლის მაისში ვაშინგტონის ფართოდ რეკლამირებულ სესიაზე მიიღეს ეგრეთ წოდებული „ნატოს ხანგრძლივი პროგრამა", რომელიც 1994 წლამდეა გათვალისწინებული და არნახული მასშტაბით შეიარაღებას გულისხმობს. სრულიად კანონზომიერია, რომ ნატოს იუბილე ევროპის დედაქალაქებში ბლოკში მონაწილეობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებით აღინიშნა.

**გასულ** კვირას ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა პეკინის ხელმძღვანელობამ. მან გამოაქვეყნა განცხადება ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დენონსირების შესახებ. „ეს ახალი რგოლია პეკინის ხელმძღვანელობის ღალატის ჯაჭვში" — წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო". „ჩინეთის ლიდერები დაუკავშირდნენ შეერთებულ შტატებს, იაპონიას, მთელ იმპერიალისტურ ბანაკს და მსოფლიოს რევოლუციური ძალების წინააღმდეგ გამოდიან", — წერს ვიეტნამის გაზეთი „ნიან ზანი". ანალოგიური შეფასება მისცა ჩინეთის აქციას მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ.

იაპონიასთან ანტისაბჭოური ხელშეკრულების დადებისა და ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, პეკინმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა საერთაშორისო იმპერიალიზმს, რომ იგი სამუდამოდ განუდგა სოციალისტურ ბანაკს.

**ს. ცინცაძე,**
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

---

ტებიან კუთხურ, ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში, თამამად მიმართავენ ზოგადკაცობრიულ და განსაკუთრებით კი საბჭოთა მუსიკის გამოცდილებას. ჩვენთვის სათაყვანებელი ზაქარია ფალიაშვილი არა მარტო იმით არის ჩვენთვის დიდი, რომ მან ქართული სიმღერა ჩააყენა თანამედროვე კულტურის სამსახურში, მიაკვლია მის უშრეტ წყაროებს და ოსტატურად აახმიანა თანამედროვე ადამიანთა განცდების გადმოსაცემად, არამედ იმითაც, რომ მან ორგანულად დაუკავშირა ეროვნული ტრადიციები ზოგადსაკაცობრიო მხატვრული აზროვნების მდიდარ გამოცდილებას.

მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, მაგრამ ქართული მუსიკა ერთგული დარჩა იმ შემოქმედებითი პრინციპებისა, რომელთაც მას პირველი დიდი წარმატება მოუტანეს. ჩვენი მუსიკალური კავშირები თანამედროვეობის საუკეთესო ტრადიციებთან სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება და მტკიცდება.

ჩვენ მივესალმებით ქართული მუსიკის სტილისტურ მრავალფეროვნებას და იმასაც სიამაყით აღვნიშნავთ, რომ დღემდე არავის ეჭვი არ შეუტანია მის თვითმყოფადობაში. ქართული მუსიკა, ცხადია, ჩვენს სინამდვილეს, მის მიერ წამოჭრილ პრობლემებს უნდა ეხმაურებოდეს, მაგრამ თუ მას სურს ინტერნაციონალური აუდიტორია ჰყავდეს, თუ მას სურს მილიონობით მსმენელთან მივიდეს და მისთვის გასაგებ ენაზე იმეტყველოს, მან უნდა გაიფართოვოს იდეურ-შინაარსობრივი თვალსაწიერიც და სამეტყველო ენაც გაამდიდროს მსოფლიო მუსიკალური კულტურის საუკეთესო მიღწევების შესაბამისად.

ჩვენი მუსიკა ჩვენი გმირული თანამედროვეობის ჟღერადი მატიანეა, მაგრამ მატიანე არა კაბინეტში ჩაკეტილი ჟამთააღმწერლის ხელით შექმნილი, არამედ ჩვენი დროის დიდი მოვლენების უშუალო მონაწილის, ხელოვანისა, რომელიც ჩვენი ხალხის ავანგარდში იმყოფება. ჩვენი მუსიკა ჩვენი ხალხის ჟღერადი პორტრეტია — პორტრეტი და არა ნატურალისტური ფოტოსურათი, პორტრეტი, რომელშიც მხატვრის პოზიცია, მის მიერ მოვლენების შეფასება აშკარად იგრძნობა. მუსიკაში შეუძლებელია დადებითი იდეალების, ოცნებისა და ადამიანური სულისკვეთების სილამაზის გამოკვეთა ისე, როგორც ხელოვნების არც ერთ დარგში (დაე, მუსიკალური პატრიოტიზმი ჩვენი ხელოვნების უნარის ამგვარ შეფასებაში გამოვლინდეს). ჩვენი მუსიკის ვალია ამ სილამაზისათვის ბრძოლა, ამ სილამაზის დამკვიდრება, ჭეშმარიტი ადამიანურობის ამაღლებული ხედვა.

ჩვენი მუსიკის ღირებულება სწორედ ამ ნიშნით, ამ ამოცანების განხორციელებით განიზომება. მუსიკისათვის, ცხადია, კრიტიკული სიმახვილეც არ არის უცხო, მასაც აქვს ირონიის, სარკაზმის, შარჟის, რისხვისა და ნეგატიურ მოვლენებთან შეურიგებელი დამოკიდებულების გამომხატველი რესურსები. მაგრამ მთავარი ძალა მუსიკისა მაინც მასში პოზიტიურის უშუალობაა, მთავარი სფერო მუსიკისა — ამაღლებულობის სფეროა. ამიტომაც ამბობენ ჩვენს ხელოვნებაზე, მუსიკა ადამიანს აკეთილშობილებსო.

ყოველი ხელოვანი თავისუფალია თავის შემოქმედებაში: მასალისა და თემის შერჩევისას, ტექნოლოგიური აპარატის გამოყენებისას. ცხოვრება ამოუწურავია და ჩვენ მივესალმებით ისეთ თემებსაც, რომლებიც თანამედროვეობის ანარეკლია, იმასაც, რაც წარსულს ეხმაურება, და იმასაც, რაც დიდი ლიტერატურული ქმნილებების მიერ არის შთაგონებული.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ იმ ნაწარმოებს შეიძლება ჰქონდეს რეალური მხატვრული ღირებულება, რომელიც თანამედროვეთა ინტერესით აჟღერებულა. ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე თემატიკას. როდესაც მარადიულ თემაზე ლაპარაკობენ, ხშირად ავიწყდებათ, რომ მარადიულობის მნიშვნელობას ისინი თავისი აქტუალობით იხვეჭენ, ეს აქტუალობა მხოლოდ მაშინ ახლავს ნაწარმოებს, როდესაც იგი თავისი დროის ტკივილს, მისწრაფებებს, იმედსა და სიხარულს გამოხატავს. ჭეშმარიტად მხატვრული — ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა, მაგრამ ჭეშმარიტად მხატვრული, ამავე დროს კონკრეტული ისტორიულ-ფსიქოლოგიური სიტუაციის ანარეკლია. დღესაც თავისი ჟღერადობა არ დაუკარგავს დანტესა და რუსთაველს, ბახსა და ტოლსტოის, დღევანდელი ადამიანი მათ ხელოვნებაში პოულობს დაუშრეტელ სულიერ საზრდოს, რადგან წარსულის ყოველი ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი უპირველეს ყოვლისა თავისი დროის შვილი, მისი აზრის მედროშე იყო.

როდესაც ჩვენ სინამდვილის და ხელოვნების მჭიდრო კავშირზე ვლაპარაკობთ, ამაში ბევრ რამეს ვგულისხმობთ: იმ სიმართლესაც, რომელიც მხატვრულ სახეებს უნდა ახასიათებდეს, იმასაც, რომ ხელოვნებასთან ახლო მისასვლელად თვით მსმენელის კულტურა უნდა ამაღლდეს, რომ რადიკალურად უნდა გარდაიქმნას და გაუმჯობესდეს მსმენელთა ესთეტიკური აღზრდა, რაც კერძოდ იმით უნდა გამოიხატოს, რომ მსმენელი საჭირო ცოდნით შევაიარაღოთ, განუვითაროთ მას სილამაზის აღქმის უნარი. ეს დიდი პრობლემაა. მაგრამ მასთან ერთად არსებობს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაც: არა მარტო ფართო მსმენელი უნდა წამოვიდეს დიდი ხელოვნებისაკენ, არამედ დიდმა და სერიოზულმა ხელოვნებამაც თავის მხრივ ნაბიჯი უნდა გადადგას ფართო მსმენელისაკენ.

ზემოთქმული სრულებითაც არ არის მოწოდება ბუნებით რთულის გაუბრალოებისათვის და მდარე გემოვნებასთან კომპრომისისათვის, ასეთ ყალბ ლოზუნგებს ნამდვილი ხელოვანი არასოდეს არ აჰყვება. მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედებაში არცთუ იშვიათად ვხვდებით ხელოვნურ სირთულეებს, რომლებიც ჭეშმარიტად მხატვრულობას ვნებს. მუსიკის ბუნებრიობა, მისი უნარი გასაგებ ენაზე მეტყველებდეს, მისი სწრაფვა კონკრეტულ ჟანრულ-ინტონაციურ ენას დაეყრდნოს — მხატვრული ნაწარმოების შეფასების მნიშვნელოვან მომენტად უნდა იქცეს.

ჩვენი ხელოვნების და საზოგადოდ ქვეყნის მომავალი დიდად არის დამოკიდებული ახალგაზრდობაზე, რომელიც უფროსი თაობისაგან იღებს ესტაფეტას. კომპოზიტორთა კავშირში საანგარიშო პერიოდში 25-მდე ახალგაზრდა მუსიკოსი მივიღეთ (საერთო რიცხვი წევრებისა ამრიგად 25 პროცენტით გაიზარდა). ცხადია, ეს შთამბეჭდავი რიცხვია, თუმცა ვგრძნობთ, რომ ყველა ახალგაზრდა ერთნაირი შესაძლებლობის მუსიკოსი როდია. ჩვენი მხარდაჭერა მათდამი იმით გამოიხატა, რომ შესრულდა და გამოიცა მათი ნაწარმოებები, მოეწყო სპეციალური პლენუმები, მოსკოვში გაიმართა ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონცერტები.

ამავე დროს უნდა ვაღიარო, რომ ახალგაზრდა ავტორთა ნაწარმოებების შეფასებისას ჩვენ მეტი პრინციპულობა გვმართებს, ჩვენ უნდა მივაღწიოთ გამარჯვებისა და მარცხის მკვეთრ გარჩევას და მაშინ ნიჭიერებას და მხატვრულის ქმნადობის უნარსაც უკეთ შევაფასებთ. ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა დავეხმაროთ ახალგაზრდობას დაიხვეწოს პროფესიულადაც და ეთიკური ნორმების შესისხლხორცების თვალსაზრისითაც. ჩვენი მოვალეობაა ახალგაზრდობას დავეხმაროთ გზის შერჩევასა და დიდი ცხოვრებისაკენ თავისი დამოუკიდებელი გზის პოვნაში.

სამწუხაროდ, ხშირად ხდება, რომ ახალგაზრდა მუსიკოსები პროფესიულ წრთობას გადიან ისე, რომ არ აქვთ მჭიდრო ურთიერთობა ძომავალ აუდიტორიასთან, მრავალსახოვან ცხოვრებისეულ მიმართულებებთან. ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების ტემპერატურა და კლიმატი ამ პროცესში ქმედითი ფაქტორის როლს ვერ ასრულებს და შემოქმედებითი ჩვევების გამომუშავებაზე ზეგავლენას ვერ ახდენს, ეს ნაკლი უნდა დავძლიოთ, უნდა განვუვითაროთ ახალგაზრდობას საზოგადოებრივი ცხოვრების სიყვარული, მისი ავით და კარგით დაინტერესება.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი, როგორც ცნობილია, ბევრი რამ არის დამოკიდებული პირად ინიციატივაზე, პირად დაინტერესებაზე. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმის უნარზე, რომ მყუდრო ცხოვრება დაირღვიო, რაღაცა უპირატესობასა და კომფორტზე უარი თქვა, მსხვერპლი გაიღო და პირადულის მიღმა (მე ვიტყოდი: მაღლა) მდებარე ინტერესს მოემსახურო, იქ მიხვიდე, სადაც შენ კი არ გჭირდება, არამედ შენ სჭირდები.

მუსიკოსის ინტერესს სხვა ფაქტორებთან ერთად ქმნის ცხოვრებისეული გამოცდილება. დიდი შეცდომაა, როდესაც მუსიკალურ გემოვნებას ხელოვნურად მიჯნავენ ადამიანის ინტელექტის სხვა მხარეებიდან და კერძოდ მისი ცხოვრებისეული პოზიციისაგან. თვით მუსიკაც ხომ არ არის მოწყვეტილი ცოცხალ სინამდვილეს, მის კვალს ატარებს ყოველ თავის გამომსახველ საშუალებაში. ამიტომაც სპეციფიკურად მუსიკალური ინტელექტის აღზრდაც ხელოვნურად ვერ დაშორდება ცხოვრების მოთხოვნებს, ხოლო მუსიკალური ინტერესის ჩამოყალიბება — საერთოდ ყოველივე ცხოვრებისეულისადმი ზოგადადამიანური ინტერესის გაღვიძება-განვითარებას. აი რა უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი მუშაობისას ახალგაზრდობასთან, რათა ის დიდი სახსრები, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება და სახელმწიფო მათ უხვად უნაწილებს, მაქსიმალური ეფექტიანობით იქნეს გამოყენებული.

საანგარიშო პერიოდი იმითაც საგულისხმოა, რომ ჩვენი მუსიკის სხვადასხვა უბნები უფრო შესამჩნევად, ვიდრე ადრე, ერთიანდებოდა საერთო ამოცანების გადასაწყვეტად და ამან თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო. უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, რომელთაც საერთაშორისო რეზონანსი იქონიეს (მათ განეკუთვნება 1975 წლის ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული, 1977 წელს ყველა სოციალისტური ქვეყნების მონაწილეობით სიმპოზიუმი — ფესტივალი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისადმი და ბოლოს 1978 წლის ნოემბერში მოსკოვში გამართული ქართული მუსიკის დღეები), ჩვენ განვახორციელეთ კულტურის სამინისტროსთან და მის მრავალრიცხოვან დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტით, საგუნდო-ქორეოგრაფიული საზოგადოებისა და ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტთან თანამშრომლობით. შეძენილი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ასეთი კავშირების გაღრმავება და მრავალფეროვნება ჩვენი კულტურის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება, გვეხმარება უკეთ დავძლიოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუშაობის შესახებ. ძნელია ამ დოკუმენტის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. შემთხვევითი როდია, რომ მისდამი ინტერესს იჩენენ მოსკოვშიც და მოკავშირე რესპუბლიკებშიც, რადგანაც, თუ არ ვცდებით, იგი პირველია, რომელშიც კომპოზიტორთა კავშირის ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობაა შეფასებული და ამავე დროს მოცემულია პროგრამა შემდგომი მუშაობის წარმართვისათვის. ეს დადგენილება მჭევრმეტყველი დადასტურებაა იმ დიდი ზრუნვისა და მხარდაჭერისა, რომელსაც საქართველოს მუსიკოსები ვგრძნობთ ცენტრალური კომიტეტისაგან, პარტიული და სახელმწიფო ორგანოებისაგან. იგი სიხარულით გვავსებს იმის გამო, რომ მასში აღიარებულია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გარკვეული მიღწევები მისი მუშაობის მრავალ უბანზე. ამავე დროს დადგენილებაში მითითებულია იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გვაქვს მუშაობაში, დასახულია გზები მათ აღმოსაფხვრელად. ამ დოკუმენტს ჯეროვანი ყურადღებით შეისწავლიან არა მარტო კომპოზიტორთა კავშირის წევრები, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მუსიკალური ორგანიზაცია, გაიხდიან მას სახელმძღვანელო დოკუმენტად და ყველაფერს გააკეთებენ, ჩვენი კულტურული ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

მოწინავე რესპუბლიკას — მოწინავე კულტურა! ასეთია ჩვენი დევიზი. არ შეიძლება რესპუბლიკა მოწინავე იყოს ნამდვილად მოწინავე კულტურის უქონლად. ჩვენი კულტურა სამაგალითო უნდა გახდეს თავისი ეროვნული თვითმყოფადობით, სოციალისტური შინაარსით და ინტერნაციონალური სულისკვეთებით, თავისი სიახლითა და სიწმინდით, კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების ინტერესებისადმი ერთგულებით.

**გივი ორჯონიკიძე,**
საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

---

*მოკლედ*

# ყოველი მხრიდან

**9 აპრილი**

**თეირანი.** როგორც იუწყება რადიოსადგური „ირანის რევოლუციის ხმა", აქ სიკვდილით დასაჯეს ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ამირ აბას ჰოვეიდა. ისლამის საგანგებო რევოლუციურმა ტრიბუნალმა იგი დამნაშავედ ცნო „კორუფციასა და დანაშაულებებში, რომლებიც ჩაიდინა ირანელი ხალხის წინააღმდეგ", და სიკვდილი მიუსაჯა.

**ტუნისი.** გაზეთი „პრეს დე ტუნიზი" ეგვიპტის ხელისუფალთა ცდებს, წინააღმდეგობა გაუწიონ არაბული ქვეყნების ლიგის შტაბბინის კაიროდან გადატანას, ახასიათებს როგორც „უაზრო" აქციას, რომელიც აუცილებლად ჩაიფუშება. ეგვიპტეს, წერს გაზეთი, შეუძლია ბაღდადის კონფერენციის გადაწყვეტილებებზე იფიქროს რაც სურს, მაგრამ ეს ვერ შეუშლის ხელს ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

**კუვეიტი.** ეგვიპტის ვიცე-პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ომანში გაემგზავრა, სადაც იგი შეხვდება სულთან ქაბუსს და გადასცემს მას პრეზიდენტ სადათის წერილს. როგორც ცნობილია, ქაბუსმა, რომელიც ცდილობს უცხოეთის ძალების დახმარებით შეაკავოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქვეყანაში, დახმარება მიიღო სადათისაგან, რომელმაც ომანში გაგზავნა ეგვიპტის ჯარები იქიდან გაყვანილი ირანის ჯარების ნაცვლად.

**ტოკიო.** იაპონიაში სულ უფრო იგრძნობა ინფლაციის ახალი გაძლიერების საფრთხე, იუწყება გაზეთი „იომიური". იაპონიის მთავრობამ, წერს გაზეთი, უკვე მიიღო გადაწყვეტილება გაადიდოს ცენტრალური ბანკის დისკონტის განაკვეთი. ქვეყანაში ზედიზედ მეხუთე თვეა იზრდება საბითუმო ფასები. ახალ საფინანსო წელს, რომელიც 1 აპრილს დაიწყო, ეს ფასები, როგორც მოელიან, 7-8 პროცენტით გაიზრდება. (საქდესი).

